შპს. სადეზინფექციო სერვისი პლუსი

შრომის უსაფრთხოების, თანამშრომლების ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის პოლიტიკა

კომპანია „სადეზინფექციო სერვისი პლუსი“ სრულად აცნობიერებს გარემოსა და საზოგადოების წინაშე ნაკისრ პასუხისმგებლობას სადეზინფექციო მომსახურების (დეზინფექცია, დეზინსექცია, დერატიზაცია, ქვეწარმავლების კონტროლი, მაწანწალა ცხოველების კონტროლი, კრაზანების კონტროლი, სარეველა ბალახების კონტროლი) უზრუნველყოფისას.

ჩვენ ვმოქმედებთ პრინციპით - არა ინციდენტებს, ადამიანის ჯანმრთელობისათვის საზიანო შემთხვევებს და გარემო პირობების დაბინძურებას.

ჩვენ ვისწრაფით ჩვენს მიერ დანერგილი შრომის უსაფრთხოების, თანამშრომლების ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის სისტემის მუდმივი გაუმჯობესებისკენ გაზომვადი HSSE სამიზნეების დასახვისა და შესრულების გზით.

ჩვენი HSSE ანგარიშგების სისტემა შემუშავებულია რეალური ფაქტების გათვალისწინებით, რათა გასაგებად და გამჭვირვალედ აღწეროს განხორციელებული პესტ კონტროლის საქმიანობის ყველა ასპექტი. ჩვენს მიერ შემუშავებული ანგარიშები ხელმისაწვდომია როგორც შიდა მოხმარებისთვის, ასევე საჯაროდ.

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ როგორც ჩვენი თანამშრომლების, ასევე იმ საზოგადოების წევრების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, რომლებიც იმყოფებიან ჩვენს მიერ განხორციელებული მომსახურების არეალში.

ჩვენს მიერ განხორციელებული ყველა ღონისძიება, გამოყენებული პროდუქტი და მომსახურება შეესაბამება ჩვენი დამკვეთების HSSE მოთხოვნებს.

ჩვენი საქმიანობა სრულად შეესაბამება ადგილობრივი კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებს და ევროკავშირის სტანდარტებსა და ნორმებს.

ჩვენ ვუზრუნველყოფთ ჩვენი თანამშრომლების HSSE კომპეტენციის დონის მუდმივ ამაღლებას ტრენინგებისა და პრაქტიკების მეშვეობით

ზ.ა. პასუხისმგებლობების შესრულება ჩვენი კომპანიის მმართველი გუნდის უპირველესი და უპირატესი ვალდებულებაა.

მერაბ მოისწრაფიშვილი

შპს. სადეზინფექციო სერვისი პლუსი

2014 წლის 5 ოქტომბერი